NATIONAL FOOD AGENCY
Digitally signed by NATIONAL FOOD AGENCY
Date: 2019.07.11 14:36:15 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №305/2019

ქ. თბილისი

"11" ივლისი 2019 წ.

ერთის მხრივ სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „სერვისი-2005"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა დოლიძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა მოთხოვნათა საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული, მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, მასში მინიშნებული ყველა თანდართული დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მომსახურებები საკადასტრო აზომვების სფეროში (CPV71354300).

2.2. შესყიდვის ობიექტი გულისხმობს - სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის, ჩოხატაურის რაიონული ოფისის კოსტავას ქუჩა №5-ში მდებარე საკადასტრო მონაცემებისათვის აზომვითი ნახაზის შედგენას.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **150 (ასორმოცდაათი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ, მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს.

3.3. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა -საკუთარი შემოსავლები.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. მომსახურება უნდა განხორციელდეს: ჩოხატაური კოსტავას ქუჩა №5-ში

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად (მიწოდებულად) მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერენ მის მიერ შექმნილი კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება – უნაღდო.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, მომსახურების გაწევის შემდგომ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.4. ანგარიშსწორება მოხდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. „მიმწოდებლის" მიერ, ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „შემსყიდველი" უფლებამოსილია თვითონ მიიღოს ზომები ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული დეფექტებისა და ხარვეზების გამოსასწორებლად და მოსთხოვოს მომწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება;

7.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს გაწეულის მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

8. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად განახორციელოს მომსახურების მიწოდება და აწარმოოს შესაბამისი დოკუმენტაცია;

8.2. აწარმოოს როგორც ფარულ, ასევე ყველა სახის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა, რათა შესრულებული სამუშაოები შეესაბამებოდეს შეთანხმებულ პროექტს.

8.3. აწარმოოს ზედამხედველობა, რათა შესრულებული სამუშაო შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს და იდენტური იყოს შეთანხმებულ პროექტთან.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული პირ(ებ)ი: პაატა მაისაია - ქონების მართვის და სამეურნეო სამმართველოს უფროსი და დავით ბაქრაძე - ქონების მართვის და სამეურნეო სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.

9.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

9.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

9.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ, გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და მომსახურების ამ სფეროში მოქმედი სტანდარტების შესაბამისი.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით გაწეული მომსახურების ღირებულების 0.02%-ის შესაბამის თანხით ყოველ გადაცილებულ დღეზე;

11.2. „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, „შემსყიდველს" უფლება აქვს დააკისროს „მომწოდებელს" პირგასამტეხლო არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0,02% ოდენობით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე;

11.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

11.4. ხელშეკრულების 6.4. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს" უფლება აქვს დააკისროს „შესყიდველს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.5. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.6. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი

დადგომის ან/და დასრულების შესახებ. ზინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრ
ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

14.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების
დასრლებისთანავე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება მოქმედებს მისი ხელმოწერის მომენტიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები,
მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო	შპს „სერვისი-2005“
ს/კ: 205 142 200 მის: ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. N6 ტელ: 291 91 67. სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: 220101222 ა/ა – 200122900	ს/კ242005931 მის: ჩოხატაური წერეთლის ქ.№1 მომსახურე ბანკი: ს.ს. “ლიბერთი ბანკი” ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE07LB113117813325000
სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი _____	დირექტორი _____ გელა დოლიძე

Gela Dolidze

Digitally signed by Gela Dolidze
Date: 2019.07.11 13:33:59 +04'00'